ხელშეკრულება № 9

ქ.ნინოწმინდა *20. 01. 2020 წელი*

ერთის მხრივ, თვითმმართველი ერთეული, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი მერის ანივარდ მოსოიანის სახით (ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ.№ 43, საიდენტიფიკაციო კოდი 236689669) და მეორეს მხრივ შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, შემდგომში „შემსრულებელი“ (დ.ასპინძა, თამარის ქ.№3) წარმოდგენილი რედაქტორის ავთანდილ ბერიძის სახით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებს შემდეგზე;

მუხლი I

ხელშეკრულების საგანი

1.1 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ლიტერატურის, საგანმანათლებლო, კულტურისა და ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, „შემსრულებელი“ სისტემატურად გააშუქებს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, კულტურულ, ლიტერატურულ ცხოვრებას, პროპაგანდას გაუწევს ტურიზმს, გააშუქებს მასალებს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ისტორიულ წარსულზე, გამოაქვეყნებს მუნიციპალიტეტში მოღვაწე შემოქმედებითი ინტელიგენციის შემოქმედაბას, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა მთარგმნელობით მუშაობას, გამოაქვეყნებს მერიის მიერ მოწოდებულ საიფორმაციო წერილებს აღნიშნული მიმართულებით. (CPV- 79800000)

მუხლი II

გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და გაზეთის რედაქციას შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

2.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებაზე.

2.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი III

ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო მასალების გაზეთში გამოქვეყნების მომსახურება.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ხელშეკრულების შესავალ ნაწილში.

მუხლი IV

ანაზღაურების წესი, ღირებულება და პირობები

4.1 მომსახურეობაზე ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 1000 (ათას) ლარს (ერთი კვ/ს-ის მასალის გაშუქების ღირებულება შეადგენს 0.80 ლარს).

4.3 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.

მუხლი III

მხარეთა უფლებები და მოვალეობანი

3.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსრულებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება გულისხმიერად და ხარისხიანად.

3.2 „შემსრულებელი“ ვალდებულია სრულად დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი IV

სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებათა მითითებულ სტანდარტებს.

მუხლი V

ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შესმსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან.

ხელშეკრულების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზების მითითებებით.

5.2 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოსაფხვრელად და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.3 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი VI

მომსახურების გაწევის პირობები

6.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების მიხედვით ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი VII

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 „შემსყიდველი“ გაწეული მომსახურების მიღებას მოახდენს ეტაპობრივად.

7.2 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

მუხლი VIII

ანგარიშსწორება და ვალუტა

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული მომსახურების გაწევისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხის შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსწიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8.2 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და ინვოისის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი IX

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

9.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მუხლი X

ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის თუ ისინი გამოწვეულია მხარეების დამოუკიდებელი გადაულახავი ძალის შედეგად, ე.ი. მოცემულ პირობებში განსაკუთრებული და აღუკვეთავი გარემოებების შედეგად.

მუხლი XI

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 20 იანვრიდან 2021 წლის 31 იანვრამდე.

11.2 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

11.3 ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაშიც, მეორე მხარისათვის 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მუხლი XII

მარეგულირებელი სამართალი და დავათა გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით.

12.2 შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, მოქმედი

კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი XIII

დასკვნითი დებულებები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ იდენტურ ეკზემპლარად ქართულ ენაზე, რომლებიც გადაეცემა მხარეებს.
13.2 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა შესაძლო დანართი იქნება ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მათი აღსრულება იწარმოება მოცემული ხელშეკრულების ყველა დანარჩენ პირობასთან ერთად.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია
საიდენტიფიკაციო კოდი 236689669
ქ.ნინოწმინდა, პუშკინის ქ.№43

მერი: ***ანივარდ მოსოიანი***

Anivard Mosoyan
Digitally signed by Anivard Mosoyan
Date: 2020.01.20 13:22:45 +04'00'

„შემსრულებელი“,
შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“,
ასპინძა, თამარის ქუჩა №3,
მიმღები ბანკი – ლიბერთი ბანკის
ასპინძის ფილიალი.
ბანკის კოდი – 220101451;
ანგარიშის № ***GE72LB0113115795007000,***
საიდენტიფიკაციო კოდი 223100908.

რედაქტორი: ***ავთანდილ ბერიძე***